

რა არის „ნიუ ეიჯი“



დღეს უკვე ფართოდ გავრცელებული გლობალისტური იდეოლოგია ქრისტიანული მსოფლმხედველობის საპირისპირო შეხედულება გახდავთ.

გლობალიზაცია სხვადასხვა ფორმის გამოვლენით – „გლობალური მსოფლიო წესრიგი“ და ა.შ. – 2000 წლიანი ქრისტიანული ეპოქის დასასრულზე და ახალი დროის დასაწყისზე საუბრობს. მათი დამქაშები ხშირად იმეორებენ ტერმინს „პოსტ-ქრისტიანული მსოფლიო“, ანუ ადამიანების შეგნებაში ამკვიდრებენ აზრს, რომ ქრისტიანობამ უკვე მოჭამა თავისი დრო, ის ვითომდა ისტორიული წარსულია. ახალი ათასწლეულის დადგომის შემდეგ, მათი აზრით, „ახალი ერა“, „მერწყურის ერა“ დადგება.

ამ იდეოლოგიას ისინი ამერიკაში პოპულარული თეოსოფიური და ოკულტური მიმდინარეობის „New Age“-ის (ნიუ ეიჯ), ანუ “ახალი დრო“-ის მეშვეობით ახორციელებენ. ეს მოძრაობა ფართო მასებისათვის ცნობილი 1975 წელს გახდა. ის თავდაპირველად ა.შ.შ. – ში, ხოლო შემდეგ ევროპაშიც გავრცელდა. „ნიუ ეიჯი“ არ არის არც სექტა, არც რელიგია. მას თითქოს არა აქვს მმართველობითი ცენტრი, ორგანიზაციული სტრუქტურა, არ გააჩნია განსაზღვრული სწავლება და ლოგოტები და ა.შ. ამ მიმდინარეობაში შერწყმულია მონიზმი, პანთეიზმი, გნოსტიციზმი, სხვადასხვაგვარი ოკულტური საზოგადოებები და სექტები, ერეტიკული და ყარბი რელიგიური მიმართულებები.

მათი მიზანია – გარდაქმნან პიროვნება, ხოლო შემდეგ – გარდაქმნან მთელი მსოფლიო. ამისთვის ისინი ყვედანაირ საშუალებებს: პრესას,

ტერვევიზიას, მასობრივ პოპ-კურტურას, ნარკოტიკებს, საზოგადოების გარყვნის სხვადასხვა ფორმებს იყენებენ. მუსიკის სფეროში გაჩნდა ახალი სტილი „ნიუ ეიჯი“. დაწესებულება ყოველწლიური პრემია „გრემი“ ამ სტილის საუკეთესო ადბომისათვის. მრავალი ამერიკელი კონგრესმენი და „რომის კლუბის“ გამორჩენილი წევრის ცნობილი ეკუმენისტის ენ ჩიტეს მიერ ჩატარებულ „ახალი დროის“ (New Age) ყოველწლიურ რეჟციებს ესწრებოდა.



სინამდვილეში „ნიუ ეიჯი“ კაცობრიობას ანტიქრისტეს მოსვრისათვის ამზადებს. „ახალი დროის“ ქაოსიდან შემდეგში ერთიანი მსოფლიო რელიგია უნდა დაიბადოს, რომელიც თავის თავში დედამიწაზე არსებული ყველა რელიგიის ედემენტებს შეიცავს. „ნიუ ეიჯის“ მრავალი ედემენტი გადმოღებულია ოკურტიზმიდან. აქ არა მარტო ცრურწმენისა და წარმართობის, არამედ ჯადოქრობისა და მაგიის ედემენტები შეინიშნება. „ნიუ ეიჯის“ მსოფრმხედველობა მორადურ ინდიფერენტიზმზეა აგებული. ცნობილი მაგიისა და ოკურტისტიკის კროუდის აზრით, „ნიუ ეიჯის“ კანონი უნდა გახდეს – „აკეთე ის, რაც გინდა“. ამ მოძრაობის მიმდევრები იბრძვიან ჰომოსექსუარისტებისა და ნარკომანების უფლებებისათვის, რითაც თანამედროვე მსოფლიოს ახალ სოლომად გადაქცევას ცდილობენ.

დღესდღეობით „ნიუ ეიჯის“ 22 მრნ მიმდევარი ჰყავს. მარტო ამერიკასა და კანადაში, „ნიუ ეიჯის“ დაახლოებით 20 ათასი ორგანიზაციაა. ეს ორგანიზაციები სხვადასხვაგვარი, მეცნიერული,

პოლიტიკური, რელიგიურ – ფილოსოფიური ფორმისაა.

ბერძენმა ღვთისმეტყველმა ადელქსის პანაგოპუროსმა დაწვრილებით განიხილა მოძრაობა „ნიუ ეიჯის“ არსი და შემდეგი აზრი გამოიტანა: მათი მიზანი „ახალი მსოფლიოს წესრიგის“ თეორიის შემუშავება, ახალი მსოფლიოს რელიგიის „ახალი ეპოქის ქრისტეს“ (ანუ ანტიქრისტეს) მოსვლაა.

მაშ ასე, გლობალიზაციის იდეოლოგიამ ჩამოიხსნა თავისი ნიღაბი და გვიჩვენა თავისი მონდირისტური არსი – სინთეტური რელიგია, რომლის აღმსარებლობაა: რწმენა ერთიანი კაცობრიობისა, რომელიც ერთიანი ცენტრიდან, ანუ მსოფლიო მთავრობიდან წარმართება.

xareba.net